



Food and Agriculture Organization
of the United Nations



**HUNTING
AND FOREST MANAGEMENT
CUSTOMS IN ANCIENT GEORGIA**

**ნადირობისა
და ტყით სარგებლობის ტრადიციის
ძველ სიძველეთა შესახებ**

ნადირობისა და ტყით
სარგებლობის ძრადისციები
ძველ საქართველოში

**HUNTING AND FOREST
MANAGEMENT CUSTOMS
IN ANCIENT GEORGIA**

ბაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
თბილისი, 2018

FOOD AND AGRICULTURE ORGANIZATION OF THE UNITED NATIONS
TBILISI, 2018

Required citation: FAO. 2018. *Hunting and forest management customs in ancient Georgia*.

Tbilisi, 100 pp. License: CC BY-NC-SA 3.0 IGO.

სავალდებულო მითითება: FAO. 2018. ნადირობისა და ტყით სარგებლობის ტრადიცია ძველ საქართველოში.

თბილისი, 100 ფ. ნებართვა: CC BY-NC-SA 3.0 IGO.

The designations employed and the presentation of material in this information product do not imply the expression of any opinion whatsoever on the part of the Food and Agriculture Organization of the United Nations (FAO) concerning the legal or development status of any country, territory, city or area or of its authorities, or concerning the delimitation of its frontiers or boundaries. The mention of specific companies or products of manufacturers, whether or not these have been patented, does not imply that these have been endorsed or recommended by FAO in preference to others of a similar nature that are not mentioned.

The views expressed in this information product are those of the author(s) and do not necessarily reflect the views or policies of FAO.

ISBN 978-92-5-131007-6

©FAO, 2018



Some rights reserved. This work is made available under the Creative Commons Attribution-NonCommercial-ShareAlike 3.0 IGO licence (CC BY-NC-SA 3.0 IGO; <https://creativecommons.org/licenses/by-nc-sa/3.0/igo/legalcode>).

Under the terms of this licence, this work may be copied, redistributed and adapted for non-commercial purposes, provided that the work is appropriately cited. In any use of this work, there should be no suggestion that FAO endorses any specific organization, products or services. The use of the FAO logo is not permitted. If the work is adapted, then it must be licensed under the same or equivalent Creative Commons licence. If a translation of this work is created, it must include the following disclaimer along with the required citation: "This translation was not created by the Food and Agriculture Organization of the United Nations (FAO). FAO is not responsible for the content or accuracy of this translation. The original [Language] edition shall be the authoritative edition.

Disputes arising under the licence that cannot be settled amicably will be resolved by mediation and arbitration as described in Article 8 of the licence except as otherwise provided herein. The applicable mediation rules will be the mediation rules of the World Intellectual Property Organization <http://www.wipo.int/amc/en/mediation/rules> and any arbitration will be in accordance with the Arbitration Rules of the United Nations Commission on International Trade Law (UNCITRAL).

Third-party materials. Users wishing to reuse material from this work that is attributed to a third party, such as tables, figures or images, are responsible for determining whether permission is needed for that reuse and for obtaining permission from the copyright holder. The risk of claims resulting from infringement of any third-party-owned component in the work rests solely with the user.

Sales, rights and licensing. FAO information products are available on the FAO website (www.fao.org/publications) and can be purchased through publications-sales@fao.org. Requests for commercial use should be submitted via: www.fao.org/contact-us/licence-request. Queries regarding rights and licensing should be submitted to: copyright@fao.org.

ამ პუბლიკაციაში გამოყენებული აღნიშვნები და წარმოდგენილი მასალები არ გამოხატავს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) შეხედულებას რომელიმე ქვეყნის, ტერიტორიის, ქალაქის, ადგილის ან მისი ხელისუფლების სამართლებრივი ან განვითარების სტატუსის შესახებ, ან მისი საზღვრების დელიმიტაციის შესახებ. კონკრეტული კომპანიების ან მწარმოებელთა პროდუქციის ხსენება, მიუხედავად იმისა, არის იგი დაპატენტებული თუ არა, არ ნიშნავს იმას, რომ იგი მოწონებული ან რეკომენდებულია FAO-ს მიერ და რომ მას უპირატესობა აქვს იმავე სახის სხვა პროდუქტთან მიმართებით, რომლებიც ნახსენები არ არის.

ამ პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და, შესაძლოა, არ გამოხატავდეს FAO-ს მოსაზრებებს.

ISBN 978-92-5-131007-6

©FAO, 2018.



ზოგიერთი დაცული უფლება. ეს ნაშრომი შექმნილია Creative Commons Attribution-NonCommercial-ShareAlike შესაბამისად 3.0 IGO licence (CC BY-NC-SA 3.0 IGO; <https://creativecommons.org/licenses/by-nc-sa/3.0/igo/legalcode>).

ამ ლიცენზიის პირობების თანახმად, ნაშრომის გადაწერა, გავრცელება და ადაპტირება არაკომერციული მიზნით ნებადართულია, იმ პირობით, რომ ნამუშევარი სათანადოდ იყოს ციტირებული. ამ ნამუშევრის ნებისმიერი გამოყენებისას არ უნდა არსებობდეს მოსაზრება, რომ FAO მხარს უჭერს ნებისმიერ კონკრეტულ ორგანიზაციას, პროდუქტს ან მომსახურებას. FAO-ს ლოგოს გამოყენება არ არის ნებადართული. თუ ნაშრომი ადაპტირებულია, ის უნდა იყოს ლიცენზირებული იმავე ან ეკვივალენტური Creative Commons ლიცენზიის შესაბამისად. თუ ამ ნაშრომის თარგმანი შეიქმნა, იგი უნდა მოიცავდეს შემდეგ ციტირებას: „ეს თარგმანი არ არის განხორციელებული გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ. FAO არ არის პასუხისმგებელი ამ თარგმანის შინაარსზე ან სიზუსტეზე. ორიგინალი გამოცემა [ენა] უნდა ჩაითვალოს ავტორიტეტულ გამოცემად.“

ლიცენზიით წარმოსთვლილი დავები, რომლებიც არ შეიძლება მოგვარდეს მშვიდობიანი გზით, გადაწყდება შუამდგომლობით ან არბიტრაჟით, როგორც ეს აღწერილია ლიცენზიის მე-8 მუხლში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. სათანადო შუამდგომლობის წესებად ჩაითვლება ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის შუამავლობის წესები <http://www.wipo.int/amc/en/mediation/rules> და ნებისმიერი არბიტრაჟი განხორციელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის საარბიტრაჟო წესების (UNCITRAL) შესაბამისად.

მესამე მხარის მასალები. მომხმარებლები, რომლებსაც სურთ გამოიყენონ ამ ნაშრომის მასალა, როგორცაა ცხრილები, ციფრები ან გამოსახულებები, რომელიც მიეკუთვნება მესამე მხარეს, პასუხისმგებელია იმის განსაზღვრაზე, თუ რამდენად საჭიროა ნებართვა მასალის ხელახლა გამოყენებისათვის და საავტორო უფლების მფლობელის ნებართვის მისაღებად. მესამე მხარის საკუთრებაში არსებული კომპონენტის დარღვევის შედეგად წარმოსთვლილი პრეტენზიების რისკი დაკავშირებულია მხოლოდ მომხმარებელთან.

გაყიდვები, უფლებები და ლიცენზირება. FAO-ს საინფორმაციო პროდუქტი ხელმისაწვდომია FAO-ს ვებგვერდზე (www.fao.org/publications) და შეიძენა შესაძლებელია publications-sales@fao.org საშუალებით. კომერციული გამოყენების მოთხოვნები წარმოდგენილი უნდა იყოს www.fao.org/contact-us/licence-request მეშვეობით. უფლებებისა და ლიცენზირების შესახებ კითხვები უნდა გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე: copyright@fao.org.

წინასიტყვაობა

ალბომი შედგენილია გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტექნიკური თანამშრომლობის პროექტის – „ველური ბუნების მდგრადი მართვის შესაძლებლობების განვითარება საქართველოში“ – ფარგლებში, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ჩართულობით. სამეცნიერო-პოპულარული ტიპის ალბომი შედგენილია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული უნიკალური მანუსკრიპტების მიხედვით. გამოცემისთვის ტექსტები მოამზადეს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლებმა ნესტან ბაგაურმა და მანანა ლვინერიამ, ხოლო ხელნაწერების ციფრულ ვერსიებზე დიმიტრი გურგენიძემ იმუშავა. თარგმანი ეკა ჯინორიძემ და მარია წერეთელმა შეასრულეს, ალბომის დიზაინი კი ილია ხელაიას ეკუთვნის.

გამოცემა მომზადდა მამუკა მესხთან, საქართველოში FAO-ს წარმომადგენლის მოადგილესთან კონსულტაციების შედეგად, პროგრამის ასისტენტის, თინათინ კბილაშვილისა და კომუნიკაციის ოფიცრის, სოფიო ალთუნაშვილის ჩართულობით. სამონადირეო და სატყეო საქმის მიმართულებით, პროექტში ჩართულნი იყვნენ ექსპერტები: რევაზ ბეჟაშვილი (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ეროვნული საშენი მეურნეობა) და მერაბ მაჭავარიანი (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ეროვნული სატყეო სააგენტო).

აქვე მადლობას ვუხდით შოთა არაბულს, რომელმაც მოგვანოდა არაბულების საოჯახო არქივში დაცული საბუთი (მენყერსაშიშ ზონაში ხის მოჭრის აკრძალვის შესახებ).

PREFACE

The album has been prepared in the frames of the ongoing technical cooperation project “Capacity Building for Sustainable Wildlife Management” of the Food and Agriculture Organization of the United Nations (FAO) and the Ministry of Environment Protection and Agriculture of Georgia in cooperation with Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts.

A popular scientific album has been composed according to the unique collections preserved at the National Centre of Manuscripts. The texts have been prepared for publication by Nestan Bagauri and Manana Ghvineria (National Centre of Manuscripts); translation into English has been accomplished by Eka Jinoridze and Maria Tsereteli; preparation of digital versions of the manuscripts has been provided by Dimitri Gurgenidze (National Centre of Manuscripts). Iliia Khelaia has been in charge of the album design. While preparing the edition, consultations have been held with Mamuka Meskhi, FAO Assistant Representative in Georgia, Tinatin Kbilashvili, Programme Assistant and Sopio Altunashvili, FAO Communication Officer in Georgia as well as experts in the field of hunting and forestry involved in the project: Revaz Bezhashvili (Ministry of Environment Protection and Agriculture of Georgia, National Breeding Center) and Merab Machavariani (Ministry of Environment Protection and Agriculture of Georgia, National Forestry Agency).

We would also like to express our gratitude to Shota Arabuli who has provided us with the document, preserved in the family archive of the Arabuli (the ban on deforestation in the avalanche hazardous zone).

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ნადირობისა და ტყითსარგებლობის ტრადიციები ძველ საქართველოში

საქართველო დედამიწაზე გამორჩეული ქვეყანაა, როგორც ბიომრავალფეროვნების გლობალურად მნიშვნელოვანი 34 ცხელი წერტილიდან ერთ-ერთი (Conservation International). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტყის ეკოსისტემები, რაც დაახლოებით ქვეყნის ტერიტორიის 40%-ს შეადგენს და უაღრესად მრავალფეროვანი ცხოველთა სამყარო. საქართველოს მცენარეული სამყარო მოიცავს ჭურჭლოვან მცენარეთა 4 100-ზე მეტ სახეობას, რომელთა დაახლოებით 21%, ანუ 900-მდე სახეობა ენდემურია (600 – კავკასიის, 300 – საქართველოს ენდემი). ასევე, მეტად მდიდარია საქართველოს ფაუნა, რომელიც წარმოდგენილია 300 სახეობის ფრინველით, 76 სახეობის ძუძუმწოვრით, 84 სახეობის თევზითა და 12 სახეობის ამფიბიებით.

ამჟამად საქართველოს წითელ წიგნში შეტანილია ფაუნის 139 და მერქნიანი ფლორის 56 სახეობა, მათგან ცხოველთა 43-სა და მცენარეთა 20 სახეობას მინიჭებული აქვს კატეგორიები „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი“ ან „გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი“. საქართველოში გავრცელებულ ცხოველთა მრავალი სახეობა საფრთხეშია გლობალური მასშტაბითაც.

სამწუხაროდ, ადამიანის უარყოფითი ზემოქმედების წნეხი ქვეყნის ბუნებრივ გარემოზე დღითი დღე იზრდება. ექსპერტების აზრით, თუ არსებული ნეგატიური ტენდენციები არ შეიცვლება, ჩვენი საუკუნე ჰაბიტატების კარგვისა და სახეობათა გადაშენების არნახული მასშტაბების მომსწრე გახდება.

აღნიშნული გარემოება ჩვენი ქვეყნის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე განაპირობებდა ამ ბუნებრივი ფასეულობის რუდუნებით დაცვას და მომავალი თაობებისათვის პირვანდელი სახით შენარჩუნებას.

ასეთ ვითარებაში მეტად საინტერესოა, რა ხდებოდა ისტორიულ წარსულში, როგორი იყო ბუნებითსარგებლობისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საკითხები ძველ საქართველოში. ისტორიული გამოცდილების პოპულარიზაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რამდენიმე თვალსაზრისით: პროფესიული საზოგადოების მეტად ინფორმირება, შესაბამისი პროფილის სასწავლო პროგრამებში ამ მიმართულების მეტი ჩართულობა, ფართო საზოგადოებისათვის იმის ჩვენება, რომ ტყის დაცვას ჩვენში საუკუნოვანი ტრადიცია აქვს; დაბოლოს, ამ გამოცდილების წარმოჩენა საერთაშორისო ასპარეზზე.

წინამდებარე გამოცემაში აქცენტი გაკეთებულია ტყითსარგებლობისა და ნადირობის ტრადიციებზე ძველ საქართველოში. სურათის აღსადგენად, ბუნებრივია, პირველწყაროებს – უძველეს და უმდიდრეს ხელნაწერ მემკვიდრეობას – მივმართეთ.

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია 10 000-ზე მეტი ხელნაწერი წიგნი, 40 000-მდე ისტორიული საბუთი და ეს მემკვიდრეობა უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას ინახავს ჩვენი წარსულის თითქმის ყველა სფეროს შესახებ. ტყითსარგებლობისა და

ნადირობის ისტორიის აღსადგენად, ბუნებრივია, ამ წყაროებს უნდა დავეყრდნოთ.

ტყის საფარს ჩვენი წინაპრებისათვის მრავალმხრივი მნიშვნელობა ჰქონდა: ტყის რესურსებით სარგებლობა (შეშა, საშენი მასალა, საკვები), თავშესაფრად გამოყენება მტრის შემოსევისა თუ სხვა ძნელბედობის შემთხვევაში, ბუნებრივი კატაკლიზმების თავიდან ასაცილებლად ტყის საფარზე ზრუნვა. საგანგებოდ უნდა გამოიყოს ნადირობის ფენომენი: ლაშქარ-ნადირობა, როგორც სამხედრო საქმის – „ლაშქრობის მასწავლებელი“; ნადირობა, როგორც მოვალეობა ფეოდალურ საზოგადოებაში; ნადირობა, როგორც აღზრდის განუყოფელი ნაწილი და აგრეთვე, მაღალი საზოგადოების გართობის ერთ-ერთი ფორმა.

წინამდებარე ალბომში წარმოდგენილია ხელნაწერები, რომლებიც ინახავენ უნიკალურ ინფორმაციას ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე. მასალა მოძიებულია ორი მიმართულებით: თემასთან ვიზუალურად დაკავშირებული ხელნაწერები, მაგალითისთვის: მინიატურა იმერეთის მეფე სოლომონ I-ის-ეული „ვეფხისტყაოსნიდან“, სადაც საოცარი დინამიკითაა გამოსახული როსტევეან მეფისა და ავთანდილის ნადირობა, ამალითურთ; ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის გამოსახულება, სადაც ის ქორბუდა ირემს დასდევნებია; თამარ მეფის კუთვნილი სახარების ილუსტრაციის დეტალი, სადაც ნოემბრის სიმბოლური ფიგურა მონადირის სახითაა წარმოდგენილი.

გამორჩეულად საინტერესოა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში გაბნეული ცნობები. წინამდებარე გამოცემაში მოხმობილია ქართველთა მნიშვნელოვანი მეფის, ფარნავაზისა და მეფე დავით აღმაშენებლის ნადირობის ამსახველი ფრაგმენტები. ასევე, საინტერესო დეტალი წმ. ნინოს ჯავახეთში შემოსვლასთან დაკავ-

შირებით, სადაც მას მწყემსებმა უმასპინძლეს ფარავნის ტბასთან, რომელსაც მემატთანე უწოდებს „ტბასა მონადირეთასა“.

ნადირობასა და მასთან დაკავშირებული დეტალების შესახებ გამორჩეულად საინტერესო ცნობებს გვანვდიან სამართლის ძეგლები, მაგალითად: „ხელმწიფის კარის გარიგება“ (XIV ს.). გიორგი ბრწყინვალის მიერ შექმნილი სამართლის ძეგლიდან შევიტყობთ მონადირეთუხუცესის, ტყის მცველის სახელოებზე, მათ მნიშვნელობასა და ფუნქციებზე. კიდევ უფრო დეტალურად ეხება ნადირობასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს ვახტანგ VI-ის მიერ შექმნილი ძეგლი „დასტურლამალი“ (XVIII ს.). გამოცემაში მოხმობილია ფრაგმენტი, სადაც დაწვრილებითაა აღწერილი სანადირო შევარდნის ბუდის მოვლა: ბუდის მდებარეობა, დაცვა, მოვლის პროცედურები, მასზე პასუხისმგებელი მოხელე და სოფლები.

საინტერესოა, რომ მსოფლიო თანასაზოგადოებამ სახეობების და ჰაბიტატების დაცვის საერთაშორისო ვალდებულება მხოლოდ 200 წლის მერე აღიარა, რაც აისახა ბიომრავალფეროვნების კონვენციაში (1992), აგრეთვე ბერნის ევროპის ბუნებრივი სახეობების და ჰაბიტატების დაცვის კონვენციაში (1979 წ.).

იოანე ბატონიშვილი „კალმასობაში“ (XVIII ს.) საუბრობს ნადირობისა და სამონადირეო ხელოვნების საინტერესო დეტალებზე საუბრობს: ბაზიერთუხუცესის სახელო, სანადირო ძაღლების სახეობები, ფრინველთა ჯიშები, სნეულებები და სხვა.

მრავალფეროვანია ალბომში წარმოდგენილი ისტორიული საბუთებიც: მათგან უძველესი თარიღდება XIV საუკუნით; ხოლო ქრონოლოგიური თვალსაზრისით, XIX საუკუნის ჩათვლით ლაგდება. საბუთის გამცემთა შორის არიან მეფეები (თეიმურაზ II, ერეკლე II და

სხვ.), კათალიკოსები, ფეოდალები და რიგითი მოქალაქეები. საინტერესოა დოკუმენტები, რომლებიც ბაზიერთუხუცესებისათვის უბოძებიან და ზოგ მათგანს ბაზიერთუხუცესთა ბეჭედი და ხელრთვაც ამშვენებს. შინაარსის თვალსაზრისით, დოკუმენტებში უაღრესად საინტერესო ინფორმაციაა ტყით სარგებლობის, ტყიდან მოპოვებული რესურსების სახეობების, ტყის ფლობისა თუ გასხვისების შესახებ; ისინი ინახავენ ტექსტებს ნადირობისათვის მზადების, მეფის მიერ ნადირობად მიწვევის რიტუალის შესახებ.

ისტორიულ საბუთებში დიდი ადგილი ეთმობა ტყით სარგებლობის წესების დარღვევის ფაქტებსა და მათზე სანქციებს. მაგალითად, აღწერილია სამართალდარღვევის სრული პროცესი: უფლებამოსილი პირისგან დანაშაულის ფაქტის შეტყობა, მისი დადასტურება დანაშაულის ადგილის დათვალიერებით, მონმეთა დაკითხვა, ნივთმტკიცების ამოღება და შესაბამისი სასჯელი.

ალბომში თავმოყრილია ხელნაწერები კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული კოლექციებიდან, თუმცა, არის გამონაკლისიც – ეს გახლავთ არაბულების ოჯახში დაცული პირობის ხელნერილი ტყის ზვავსაშიმ ზონაში ხის მოჭრის აკრძალვის თაობაზე. ხელნერილის ინიციატორებიცა და ხელის მომწერნიც არიან თიანეთის სოფლების მცხოვრებნი და არა რომელიმე მოხელე ან კანონმდებელი. ამ დოკუმენტით თავად თემის მიერაა დაკანონებული დიდი გადასახადი იმ პირთათვის, ვინც ზვავსაშიმ ზონაში მოჭრის ხეს.

ხელნაწერების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ჩვენი წინაპრები მდგრადი ტყით სარგებლობის პრინციპებს, გაცილებით ადრე აწესებდნენ და ასრულებდნენ, სანამ ეს შემუშავდებოდა საერთაშორისო დონეზე.

წინამდებარე ალბომი ხელნაწერი მემკვიდრეობის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი და სატყეო საქმის მიმართულებით ერთობლივი კვლევის პირველი მცდელობაა. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ცალკეული მონოგრაფიები და სტატიები საქართველოში ნადირობისა და ტყითსარგებლობის ტრადიციის კვლევის მიმართულებით, ერთობლივი კვლევა ან სამეცნიერო-პოპულარული გამოცემა აქამდე არ შექმნილა.

გამოცემაში, თემასთან დაკავშირებული ფოტომასალის პარალელურად, წარმოდგენილია ხელნაწერების ტექსტებიდან ის ფრაგმენტები, რომლებიც შინაარსობრივად დაკავშირებულია ტყითსარგებლობის ან ნადირობის თემასთან. ტექსტების ის ნაწილი, რომლებიც წარმოდგენილია სამეცნიერო პუბლიკაციების მიხედვით, მითითებულია სქოლიოში, ყველა დანარჩენ შემთხვევაში ფრაგმენტები ამოკითხულია ალბომის შემდგენელთა მიერ.

ალბომი განკუთვნილია როგორც ისტორიისა თუ სატყეო და სანადირო საქმის სპეციალისტებისთვის, ისე დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

მერაბ მაჭავარიანი

მეცნიერებათა დოქტორი სატყეო მეურნეობის განხრით

ნესტან ბაგაური

ისტორიის მაგისტრი

INTRODUCTION

HUNTING AND FOREST MANAGEMENT CUSTOMS IN ANCIENT GEORGIA

Georgia is one of the 34 most important biodiversity hotspots in the world. Forest ecosystems, which occupy about 40 percent of the country's territory with diverse flora and fauna, are of particular importance. The flora of Georgia includes more than 4 100 vascular plants, 21 percent of which (around 900 species) are endemic. Georgian fauna is also abundant, including 300 species of birds, 76 species of mammals, 84 species of fish and 12 species of amphibians.

At present, there are 139 species of fauna and 56 species of flora in the Red Book of Georgia. Forty-three species of animals and twenty species of plants are considered "endangered" or "critically endangered". A lot of species of animals common in Georgia are endangered globally as well. The latter is caused due to the increasing negative impact of human actions on the natural environment. According to experts, if the negative trends are not changed, this century will witness the extinction of habitats and species on an unprecedented scale.

In such circumstances, it is interesting to know about the use and protection of nature and natural resources as well as hunting and forest management customs in ancient Georgia. This album focuses on collection of these historical experiences and their presenting to the audience.

The Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts preserves over 10 000 manuscripts and around 40 000 historical documents. They contain vital information about almost every aspect of our past. Naturally, we have consulted these sources to restore the history of forest management and hunting.

The forest bore special meanings to our ancestors: a source of resources (firewood, building material, food) and a shelter during an enemy invasion.

This album presents manuscripts that preserve unique information regarding these topics and includes manuscripts that visually relate to hunting, for example: the miniature from the man-

uscript “The Knight in the Panther’s Skin” (the manuscript belonged to the King of Imereti Solomon I) where the hunting of King Rostevan and Avtandil with their retinue is depicted with amazing dynamics; the image of the last King of Kartli and Kakheti – King Giorgi XII – in which he is chasing a deer; and a detail of the gospel illustration from Queen Tamar's manuscript, where November is symbolically represented as a huntsman.

Excerpts from the text “The Chronicles of Georgia” are of particular interest. This album contains fragments depicting the hunting of Georgian Kings Parnavaz and David Aghmashenebeli (the Builder) as well as an interesting detail concerning St. Nino’s arrival to Javakheti, where the shepherds hosted her at Lake Paravani, which is referred as “the lake of huntsmen” by a chronicler.

“Regulations of the Georgian Royal Court” (14th c.), the book of law created by King Giorgi V the Brilliant provides some interesting information about hunting, in particular, about the chief huntsman, forest guards, their significance and roles. A more detailed description of hunting and related issues are presented in a work of King Vakhtang VI – “Dasturlamali” (18th c.). The edition contains a fragment describing how to take care of a hunting falcon’s nest: the location of the nest, its protection, the procedures for looking after it, as well as details of the person and villages responsible for it. Interestingly, the world community recognized the international

commitment to protect species and habitats only after 200 years in the Convention on Biological Diversity (1992) and the Berne Convention, as well as in the Convention on the Conservation of European Wildlife and Natural Habitats (1979).

The historical documents presented in the album are diverse, dating from the 14th c. up to the 19th c. Kings (King Teimuraz II, King Erekle II, etc.), catholicos, feudal lords and ordinary citizens are named among the issuers of the documents. The documents that were granted to the chief falconers are of utmost interest as some of them feature their seals and signatures as well.

In terms of content, the documents provide extremely interesting information regarding the forest management, the types of resources obtained from the forest and the ownership or the disposition of the latter. They include texts about hunting preparations, as well as the ritual of inviting the king for hunting.

Historical documents describe violations of the rule of forest management and their sanctions. For example, the entire process of an offense is outlined: from the notification of the authorities about the crime to the verification of the crime scene, the interrogation of the witnesses, the removal of evidence and appropriate punishment.

The album presents manuscripts from the collections preserved at the Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts but for one exception: a deed prohibiting the cutting of firewood in avalanche hazard zone, which is preserved in

the Arabuli family archive. The initiators and signatories were the inhabitants of Tianeti villages, as well as officials or legislators. The community itself agreed upon a high fine for those who cut firewood in the avalanche hazard zone.

The study of manuscripts showed us that our ancestors had followed the principles of sustainable forest management before it was developed on an international level.

This album is the first attempt to research the historical heritage and forestry. Despite the fact that there are separate monographs and articles

in the field of researching hunting and forest management in Georgia, a joint research or a scientific-public edition has not been composed yet.

Simultaneously with the photo-material related to the topic, the edition presents the fragments from the manuscript texts which are closely connected to the forest management or hunting.

The album is intended for both history and forest or hunting specialists as well as the broader community.

Merab Machavariani

Ph.D. in Forestry

Nestan Bagauri

Master in History

ა ლ ბ ო მ ი
ხელნაწერები და ისტორიული დოკუმენტები

A L B U M
Manuscripts and historical documents



--	--	--	--	--

Handwritten text in the top left corner of the table area.

Handwritten text in the top right corner of the table area.

Handwritten text at the bottom left of the page.

Handwritten text at the bottom right of the page.

Handwritten text at the bottom of the table area.

ვანის სახარება. XII-XIII სს.

ვანის სახარება თამარ მეფის კუთვნილი ხელნაწერია. მას ხელნაწერის შექმნა საგანგებოდ დაუკვეთია. სახარება გადაინერა და მოიხატა კონსტანტინოპოლში, ილარიონ ქართველის დაარსებულ, რომანას სახელით ცნობილ მონასტერში. საბედნიეროდ, ვიცით როგორც გადამწერის, ისე მომხატველის ვინაობა, რაც არც თუ ხშირი შემთხვევაა. ვანის სახარება გადაუწერია ქართველ კალიგრაფს იოანეს, ხოლო საოცარი ფერადოვნებით მოუხატავს ბიზანტიელ ხელოვანს, მიქაელ კორესელს.

ხელნაწერის კამარებში მიქაელ კორესელს გამოუხატავს უმშვენიერესი ცხოველთა სამყარო დამცენარეული საფარი. განსაკუთრებით საინტერესოდ გამოიყურებიან სვეტების საყრდენად გამოსახული კაცუნები, რომელთაგან თითოეული განასახიერებს წელიწადის კონკრეტულ თვეს. ჩვენთვის გამორჩეულია ოქტომბრის შესატყვისი ფიგურა, რომელიც ერთდროულად ხელზე მიმინოშემომჯდარ მონადირესაც განასახიერებს და მეთევზესაც.

800 წლის წინ ამ ხელნაწერს თავად თამარ მეფე ეხებოდა.

Vani Four Gospels. 12th-13th cc.

The Vani Gospels belonged to Queen Tamar. She had it specially ordered. The Gospel was copied and illustrated in Constantinople, in the famous Romana's Monastery, founded by Illarion Kartveli. Fortunately, we happen to know who the scribe and the illustrator were, which is not a common case. The manuscript was copied by the Georgian calligrapher, Ioane. As for the illustrations, they were made by a Byzantine skilled painter, Mikael Koreseli.

Mikael Koreseli decorated the arches of the manuscript with splendid wildlife and flora. The small people depicted supporting the columns are especially interesting. Each of them represents a particular month of the year. The figure representing the month of October is especially remarkable, as the figure is depicted as both a fisherman and a hunter with a sparrow-hawk on his hand.

Queen Tamar herself touched this manuscript 800 years ago.

ილუსტრაცია 1: ვანის სახარება. XII-XIII სს. გადამწერი: იოვანე; მხატვარი: მიქაელ კორესელი; გადამწერის ადგილი: კონსტანტინოპოლი, რომანას მონასტერი. ხელნაწერი ეკუთვნოდა თამარ მეფეს.

Illustration 1: Vani Four Gospels. 12th-13th cc. A-1335.

Scribe: Ioane. Illustrator: Mikael Koreseli. Place of copying: Romana Monastery, Constantinople. The manuscript belonged to Queen Tamar. A-1335.

ამ ისტორიული საბუთის მხატვრობა გამორჩეულია. თავში გამოსახულია ცხენზე ამხედრებული მუზარადიანი მონადირე, ტანზე ჯაჭვის პერანგით და ხელში შუბით. მხედარი მისდევს გორაკზე მდგარ ქორბუდა ირემს. ნადირობის სცენაში მხატვარს საბუთის გამცემი, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე, გიორგი XII გამოუსახავს.

The artistry of this historic document is truly outstanding. The top part features a horseman in a helmet and cataphract on a horse, holding a spear in his hand. The horseman is chasing a stag on a hill. The painter also depicted an issuer of the document, King Giorgi XII, the last king of Kartli-Kakheti in this scene.

ილუსტრაცია 2: მეფე გიორგი XII-ის მიერ ციციკაშვილებისათვის მიცემული სითარხნის განახლების წიგნი. 1799 წლის 26 მაისი. Qd-9220.

Illustration 2: The deed of King Giorgi to the Tsitsikashvili concerning the renewal of their right for freedom. 26 May 1799. Qd-9220.

და თქვა: ღმერთს
აღმშობლებს ჩემს
მის.



და: მსგ
დასიგ
სგესა

და: ესრეთ: ექმნეს

ყანჩაეთის ჟამნ-გულანი. 1674 წ.

ხელნაწერის მინიატურებს შორის არის გამორჩეულად საინტერესო სიუჟეტები: ღმერთის მიერ მცენარეული საფარის, ცხოველებისა და წყლის სამყაროს შექმნა.

ხელნაწერის გადამწერები: ზაქარია და ონოფრე მთიული.

დამკვეთი: ურბნელი მთავარეპისკოპოსი ევდემოზ გლონისთავისძე, ქსნის ერისთავთა საგვარეულოდან.

ჟამნ-გულანი ექვთიმე თაყაიშვილს ჩამოუტანია ყანჩაეთის ეკლესიიდან 1916 წელს.

Kanchaeti Zhamn-Gulani (liturgical collection). 1674.

There are themes of particular interest among the miniatures of the manuscript: the creation of flora, fauna and waters by God.

The scribes of the manuscript are Zakaria and Onopre Mtiuli.

Donor: Urbnisi Archbishop Evdemos Glonistavidze, from the family of Eristavi of Ksani.

Ekvtime Takaisvili brought the manuscript from Kanchaeti church in 1916.

ილუსტრაცია 3: მცენარეული საფარის შექმნა. ყანჩაეთის ჟამნ-გულანი. 1674 წ. H-1452.

Illustration 3: Creation of flora. *Kanchaeti Zhamn-Gulani* (liturgical collection). 1674. H-1452.



ილუსტრაცია 4: წყლის სამყაროს შექმნა. ყანჩაეთის ჟამნ-გულანი. 1674 წ. H-1452.

Illustration 4: Creation of Sea Creatures. *Kanchaeti Zhamn-Gulani* (liturgical collection). 1674. H-1452.



ილუსტრაცია 5: ცხოველთა სამყაროს შექმნა. ყანჩაეთის ჯამნ-გულანი. 1674 წ. H-1452.

Illustration 5: Creation of fauna. *Kanchaeti Zhamn-Gulani* (liturgical collection). 1674. H-1452.



ایضا کله‌های را و اسبها را در این صحنه.

უბრძანა: „მონა თორმეტი მოდით, ჩვენთანა ვლიდითა,
მშვილდსა ფიცხელსა მოგვეცემდით, ისარსა მოგვართმიდითა,
ნაკრავსა შეადარებდით, ნასროლსა დასთვალვიდითა!“
დაიწყო მოსლვა ნადირმან ყოვლთა მინდორთა კიდითა.

მოვიდა ჯოგი ნადირთა ანგარიშმიუნთომელი:
ირემი, თხა და კანჯარი, ქურციკი მალლა მხლტომელი.
მას პატრონ-ყმანი გაუხდეს, ჭვრეტადმცა სჯობდა რომელი!
აჰა, მშვილდი და ისარი და მკლავი დაუშრომელი!

Rostevan gave the command that twelve chosen archers approach him.

“Follow us closely” he said, “and supply us with arrows when needed.

See where the arrow sticks and whose arrow’s course was the truer”.

Soon in large numbers the beasts began to come in from all quarters.

Droves in astonishing number flocked onto the plain before them.

Herds of wild asses and goats, stags, and the high-leaping chamois.

The King and his vassal pursued them. Surely no sight could be fairer!

Behold the untiring arm, the lightning flight of arrow.¹

ილუსტრაცია 6: როსტევან მეფისა და ავთანდილის ნადირობა. ვეფხისტყაოსანი. შოთარუსთაველი. XVIII ს.
იმერეთის მეფე, სოლომონ I-ისეული ხელნაწერი, ე. წ. „ნერეთლისეული“ ნუსხა. S-5006.

Illustration 6: Hunting of King Rostevan and Avtandil. The Knight in the Panther’s Skin. Shota Rustaveli. 18th c.

The manuscript belonged to King Solomon I of Imereti. The so-called “Tseretliseuli” manuscript. S-5006.

ნადირობის შესახებ ჩვენამდე მოღწეული ცნობები საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ეხება მნიშვნელოვანი ისტორიული პირების, მეფეთა თუ დიდებულთა, ნადირობას. სამეფო ნადირობის ამსახველი პასაჟების გალერეაში ერთ-ერთი პირველი ცნობა უკავშირდება მეფე ფარნავაზს:

„...ხოლო ესე ფარნავაზ იყო კაცი გონიერი, მჭედარი შემმართველი და მონადირე ჴელოვანი. და იმაღვიდა იგი სიკეთესა თჳსსა აზონის შიშისაგან. ხოლო მონადირებით მისითა იქმნა მეცნიერ აზონისა და შეიყუარა იგი აზონმან მონადირობისათჳს...

...ხოლო მას დღესა შინა განვიდა ფარნავაზ და ნადირობდა მარტო, და დევნა უყო ირემთა ველსა დიღმისასა. და ივლტოდეს ირემნი ღირღალთა შინა ტფილისისათა. მისდევდა ფარნავაზ, სტყორცა ისარი, ჰკრა ირემსა და მცირედ წარვლო ირემმან და დაეცა ძირსა კლდისასა. მივიდა ფარნავაზ ირემსა ზედა, და დღე იგი მწუხრი იყო, გარდაჴდა და დაჯდა ირემსა მას თანა, რაჟთამცა დაყო მუნ ღამე იგი და დილეულმცა წარვიდა.“²

„The information that has reached us about the hunting is interesting in terms of hunting tendencies of important historical figures, kings or nobles. One of the earliest references regarding the royal hunting is the depiction of King Parnavaz:

Parnavaz was a clever man, an excellent horseman and a skillful hunter. But he hid his virtues, being fearful of Azon. Once as a hunter, who often wandered over the hills and in the valleys, he got acquainted with Azon. Azon grew fond of him because of his hunting skills ...

...The same day he went to hunt and began to circle a flock of deer lost in the field of Dighomi. The deer fled through the gorges of Tbilisi. Parnavaz followed them, shot his bow and hit a deer. The wounded deer ran a little farther and fell at the foot of a rock. Parnavaz approached it – the day was in its wane – and sat next to the deer. He intended to spend the night there and go back in the morning.“

ილუსტრაცია 7: მეფე ფარნავაზის ნადირობა. ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა. ხელნაწერიდან: ქართლის ცხოვრება. ხელნაწერი გადაწერილია ქართლის მეფე როსტომის მეუღლის, მარიამ დედოფლის დაკვეთით. 1633-1646 წწ. S-30.

Illustration 7: King Parnavaz's hunting. *Leonti Mroveli*, *Life of Georgian Kings*. From the manuscript of *Kartlis Tskhovreba* (History of Georgia). The manuscript was compiled by the order of Queen Mariam, the wife of Rostom, King of Kartli. 1633-1646. S-30.

„...წარმოვიდა მუნით წმიდაჲ ნინო და მოვიდა ორბანთად, საზღვართავე სომხითისათა. და თუესა მეოთხესა მარტითგან, რომელ არს ივნისი, წარმოემართა და მოინია მათა ჯავახეთისათა, სადა-იგი მიემთხვა ტბასა დიდსა გარდამოდინარესა, რომელსა ეწოდების ფარავნაჲ. ...და დაყო მუნ ორი დღე და ითხოვა საზრდელი მეთევზურთაგან, ტბასა მას შინა მონადირეთაჲსა. და მწყემსნიცა იყვნეს ადგილსა მასვე.“³

„...St. Nino went there and reached Orbantu at the border of Armenia, and she wintered there, suffering numerous privations. And on the fourth month, which is called June, she set out and reached the mountains of Javakheti where she encountered a great lake called Paravna... She remained there for two days and asked for food from the fishermen who were fishing in the so-called hunter's lake. There were shepherds as well.“³⁴

ილუსტრაცია 8: ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა. ხელნაწერიდან: ქართლის ცხოვრება. ხელნაწერი გადაწერილია ქართლის მეფე, როსტომის მეუღლის, მარიამ დედოფლის დაკვეთით. 1633-1646 წწ. S-30.

Illustration 8: *Leonti Mroveli, the Life of Georgian Kings*. From the manuscript of *Kartlis Tskhovreba (History of Georgia)*. The manuscript was compiled by the order of Queen Mariam, the wife of Rostom, King of Kartli. 1633-1646. S-30.

„იყო მაშინ საზღვარი სამეფოჲსაჲ მთაჲ მცირე ლიხთაჲ და სადგომი სამეფოჲ ნალულის-თავი. და ოდესცა ნადირობაჲ უნდის (მეფე დავითს) ქართლისა ჭალაკთა, ანუ ნაჭარმაგევს, რომელი ყოვლად აღსავსე იყო ირემთა და ეშუთა მიერ, არა პირველი შთავიდიან, ვიდრემდის ცხენ-კეთილთა მწედართა მიერ მოინახიან, და მაშინლა შთავიდიან ნადირობად ვაკესა.“⁴

„And the border of the kingdom was the Lesser Likhi Mountains, and the King’s residence was in Tsagulistavi. When going to hunt in the valleys of Kartli or Nacharmagevi, which were abundant with deer and wild boar, they did not descend at once, but first sent some men there on fast horses to scout, and only then would they descend and hunt in the dale.“⁴

ილუსტრაცია 9: მეფე დავით აღმაშენებლის ნადირობა. ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისი. ხელნაწერიდან: ქართლის ცხოვრება. ხელნაწერი გადანერილია ქართლის მეფე როსტომის მეუღლის, მარიამ დედოფლის დაკვეთით. 1633-1646 წწ. S-30.

Illustration 9: King David the Builder’s hunting. *History of the King of Kings, David*. From the manuscript *Kartlis Tskhovreba (History of Georgia)*. The manuscript was compiled by the order of Queen Mariam, the wife of Rostom, King of Kartli. 1633-1646. S-30.

ნარატიულ წყაროებში ტყის შესახებ გაბნეული ცნობებიდან საინტერესოა ინფორმაცია ტყის თავშესაფრად გამოყენების შესახებ. ბუნებრივია, სახიზარი (თავშესაფარი) ყოველთვის განსაკუთრებული ძნელბედობის უამს იყო საჭირო. საქართველოს ისტორიაში ამგვარ ძნელბედობათა შორის გამორჩეული იყო მურვან ყრუს შემოსევები. ამ დროს მიუშურებია თავშესაფრად ქცეული უხვი ტყეებისათვის ჩვენს წინაპარს:

„...ყოველნი მთავარნი და პიტიახშნი, ნათესავნი ერისთავთა და წარჩინებულთანი შეიმეოტნეს კავკასიად, და დაიმაღნეს ტყეთა და ღრეთა.

...და მოვიდა (მურვან ყრუ) ქუეყანად არგუეთისა, და შეიცვეს ტყე და ველნი, მთანი და ბორცუნი, და შეენყუდივნეს ჴელსა წარმართთასა ერნი ქრისტიანეთანი, რამეთუ რომელნიმე ტყეთა დაიმაღნეს და რომელნიმე მოსრნეს.“⁵

The information about using the forest as a shelter from various sources is quite interesting. Naturally, refuge was needed only in times of hardship. Among the hardships in the history of Georgia, the invasion of Marwan the 2nd was mentioned in detail. That was the time when our ancestors found the refuge in the forests:

„...All the chiefs and satraps, relatives of dukes and the noblemen went to the forest to hide.

...And he came (Marwan the 2nd) to Argveti and occupied the forest, the valley, mountains and the hills. The Christian nation fled to the forests. Some hid well in the forest and some were killed.“⁵

ილუსტრაცია 10: ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. ხელნაწერიდან: ქართლის ცხოვრება. ხელნაწერი გადანერილია კახეთის მეფე ალექსანდრე I-ის მეუღლის, დედოფალ ანას ბრძანებით (1479-1495 წწ.). Q-795.

Illustration 10: Juansher. The Life of Vakhtang Gorgasali. From the manuscript *Kartlis Tskhovreba (History of Georgia)*. The manuscript was compiled by the order of Queen Ana, the wife of Alexander I, King of Kakheti (1479-1495). Q-795.

„...მას წელიწადის თავს დღეს მეფე არვისგან შეიმოსს ამისგან კიდე, რომე მონადირეთუხუცესი ყვთლით ყაბარჩით შეიმოსების, საჯელ-მოკლით, ტყავიანითა მოყვეთუსლითა, არა დია პრტყელად, თავსა და საყელოსა კარგისა ყვნიზისა და მალლად აშვერილსა, მჭლოდ შეკერულსა ქუდსა დაარქვამს. საღვინეთ წინ ქვე დასმენ მალლა სკამითა, ტაბლას წინ დაუდგმენ და ველურის ტახის თავს მოხარშულს წინ დაუდგმენ. ამას წინათ, საღვინეთაკე, იმის კერძს, შორს, ადრე მკერვალთ-უხუცესი და ტყისმცველნი დასხდებიან. და მეხელადეთ-უხუცესნი დგანან. აღთვალვენ მათცა და დასხდებიან მასვე ადგილსა, საცა დგებიან, და მონადირეთაცა.

აქითგან წლის თავით თევდორობამდის მონადირეთუხუცესი მწვადს მიიხვამს. უკანისლა მიდგების, იკითხამს: „ხვალ სით ჰკვლევენ?“ უბრძანებს მეფე, სითაც ეპრიანების, ჭიქას უბოძებს და მწვადს შესჭამს და შესვამს ღვინოსა და მუნვე ნავა და დასჯდების თავის ადგილსა.“⁶

„...At the beginning of the year, a chief royal huntsman is the only one, who may cloth the King: wearing a yellow, short-sleeved leather jacket with a tight-sewed hat, he would sit him in front of the wine serving pitcher, place a small table and offer him a boiled head of a boar. A bit further, a chief royal tailor and forest guards would sit; chief keepers of jugs would remain standing. Their measures would be taken and then, they could sit, so would the huntsmen.

Until St. Theodore's day, the chief royal huntsman would receive shish-kebab, he would back down and ask the King, where he wished to hunt on the following day. The King would answer and hand him a glass, the chief royal huntsman would drink the wine, eat shish-kebab and go back to his seat.“

ილუსტრაცია 11: მონადირეთუხუცესის შესახებ. ხელმწიფის კარის გარიგება. XIV ს. ხელნაწერი: „ძეგ-ლისდება“ გიორგი ბრწყინვალისა და „ხელმწიფის კარის გარიგება“. XVII-XVIII სს. H-3094.

Illustration 11: About the *Monadiretukhutsesi* (a chief royal huntsman). *Khelmtsipis Karis Garigeba* (Regulations of the Royal Court). 14th c. Date of the manuscript: 17th-18th cc. H-3094.

„მონადირეთუხუცესისა ზემოთ დაგვწერია. მონადირენი კახეთს და იმერეთს ყველგან არიან. ორას სამოცი სახლი არის. ტყის მცველნი კიდე არიან ესენი. გიორგობას კარზედ მოვლენ და თევდორობამდის კარზედ არიან. რაზომიც დაიკლვის, ერთისაგან კიდე, ყველასა შიგანი მონადირეთ არის ძალთა სახარშოსა, ტყავი მათი. გაშვებისა ჟამსა სამსამი თეთრი მართებს, ხორციელისა კვირიაკესა ექვსი ტყავი. თევდორობის მეორე დღეს ძალთ დასწერენ, და რომელიც მწიგნობარი დასწერს, ოთხსა ანუ სამს ძალსა მეფისად გარდააყენებს. მერმე მწიგნობარი გამოირჩევს ერთს ძალსა, ბერძული უნდა თუ მწევარი. და თორმეტ-თორმეტი ძალლი, სამსამი მონადირე წავა საკვებევეად და მონადირეთ გაუშვებენ. ორშაბათს მეორეს ლამპრას მონადირენი შეიქმენ, მეფეს წინაშე მიიღებენ და ცოლსა მეფისსა და შვილთა, ვეზირთა და მოლარეთა ყველას მიართმენ. მეფე უბრძანებს პურსა, ღვინოსა და ფურ-ბერნსა. ეგრეთვე დედოფალიცა უბოძებს.“⁷

„We have written about the *Monadiretukhutsesi* (a chief royal huntsman) above. The huntsmen are everywhere in Kakheti and Imereti. There are 260 households. They are the guards of forests as well. On the day of St. George, they would arrive at the royal court and remain there till St. Theodore's day. All entrails of slaughtered game during that time were given to the dogs and the skin belonged to the forest guards. After releasing the forest guards, they would give three white patches of leather and during the week of the great judgment – six patches. After St. Theodore's day, they would count the dogs and a clerk would pick the royal hounds: three or four. Then, the clerk would choose the dog. On Monday, huntsmen would light a lamp and give the game to the King, the Queen, the viziers and the treasurers. The King would grant them with bread, wine and barren cattle. The Queen would gift them as well.“⁷

ილუსტრაცია 12: ტყისმცველთა შესახებ. ხელმწიფის კარის გარიგება. XIV ს. ხელნაწერი: „ძეგლისდება“ გიორგი ბრწყინვალისა და „ხელმწიფის კარის გარიგება“. 1828 წ. H-3094.

Illustration 12: About the Forest Guards. *Khelmtsipis Karis Garigeba (Regulations of the Royal Court)*. 14th c. Date of the manuscript: 1828. H-3094.

„ნიჩბისის შავარდნის ბუდე, თავით ბოლომდინ, ნიჩბელთ შეინახონ; კავთისხევს შავარდნის ბუდე ქუათახევის წინამძღუარმა შეინახოს და მიაბაროს ვისმე და კაცს დააყენებდეს, და თუ დაიკარგვის, და ან არ იბუდებს, საქუათახეო კაცი ყოველს წელიწადს ორს მთავარს შავარდენს იყიდდენ...

...ეს ბუდეები, რომელიც რომლის სოფლისათვის მიგვიბარებია, იმათ ასრე შეინახონ, კარგ გუარად თუალი დაიჭირონ, რიგისად კაცს დააყენებდენ. რა ერთიც ალაგი ამ ოთარმა ბუდის გარეშემო გაჩვენოსთ და გითხრასთ, იმდენი ალაგი ყორულად შეინახეთ. იქ ნურავინ გაივლის, ნურც ხეს მოსჭრიან. სადამდის ჩვენი ბაზიერი არ მოვიდეს, ნურცავინ ბუდეში ჩაეკიდება, ნურც კვერცხს ნახვენ, ნურც ქულას (ბაზის მართვე) ნახვენ; შორიდამ თვალი ეჭიროს. რახან ჩვენი ბაზიერი მოვიდეს, იმას ანახვინოს; რაც იყოს, იმან ამოიყვანოს. ვინც უჩვენბაზიეროდ ნახავს და ჩაეკიდების, შვიდეულად ვაზღვევინებთ. ეს ბუდე ვისაც აბარია და დაგვინერია, ესენი კარგად გაუფრთხილდნენ და დააყორულონ (დაცულად, შემოსაზღვრულად შეინახონ), რომ შავარდენმა იბუდოს. თორემ შავარდენი თუ არ იბუდებს, რამდენიც ბუდე არის, ბუდისთავს ყოველ წელიწადს ამ სოფლებს ოროლს მთავარს შავარდენს ვასყიდვინებთ; იცოდენ, არას გზივ არ გაპატივებთ.“⁸

„The nest of the falcon in Nichbisi had to be preserved by the inhabitants of Nichbisi, in Kavitiskhevi by the abbot of the Kvatakhevi Monastery. If it was lost or the falcon did not hatch eggs, the population of Kvatakhevi had to buy two falcons instead...

...These nests, entrusted to the village, have to be well-kept and observed. A man shall be assigned to look after them. The places around the nest, the ones that Otar will show you, have to be well preserved. No one should walk there or cut down any tree. Until our *Baziertukhutses* (a chief falconer) arrives, no one is allowed to touch the nest, the eggs or the chicks. He will take them himself. Whoever visits the nest without the chief falconer has to pay a fine. That nest has to be well-preserved by those who have been entrusted to keep it like a bounded place, so that the falcon could nest. If it does not, each year we will make the population of the village buy two falcons. They should know it. We will not forgive them!“

ილუსტრაცია 13: შავარდნის ბუდეებისათვის. ხელნაწერიდან: დასტურლამალი. ვახტანგ VI. გადამწერი: [თუმანიშვილი]. XIX ს-ის 10-იანი წლები. Q-342.

Illustration 13: About the nests of the falcon. From the manuscript *Dasturlamali*. King Vakhtang VI. Scribe: Tumanishvili. 1810s. Q-342.

„ბაზიერთხუცობა რა არის ან ვითარი უნდა იყოს?

იოანე: ბაზიერთხუცესი ყოველთა მონადირეთა უფროსია და ყოველნი სანადირო ადგილნი, მინდვრისა თუ ტყისა თუ ჭალისა და ფრინველნი მის ხელქვეშედ უნდა იყოს, რომ უმისოდ ვერავინ ინადირებდეს. მეტადრე ყარაიასა და იორშია; რომ ამისთანა ადგილს, თუ არ მეფე, სხვა ვერვინ ინადირებდა, ხოლო მთებში ამის დაკითხვით ინადირებდენ, აგრეთვე შემოღობილი ადგილნი და ნადირნი დამწყვედულები მას ეკითხებოდა. აგრეთვე ჯელგის კაცნიცა (ნადირობის დროს ნადირის გამომრეკი, მარეკი) ამას ეკითხებოდა, ბაზიერნი, რომელსაც სოფლებს ედვა, ის გამოყვანდა: სანადირო ფრინველნი, სანადირნო ძაღლნი სულ მას ეკითხებოდა და მეძაღლეები და ბაზიერნიც (ქორ-შევარდენთა მწვრთნელი, დამგეშავი) მას ებარნენ.

ჩესტია: სანადირო ფრინველი რაოდენი გვარი არს?

